პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი

№ 264 (12776) | ოთხშაბათი, 13 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება ცნობა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი მოიწვიოს 1963 წლის 9 დეკემბერს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შეტანილია საკითხი: „ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება და ქიმიური პროდუქტებისა და მასალების ფართოდ გამოყენება სახალხო მეურნეობაში“. მომხსენებლად დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, მეცნიერი მუშაკები და წარმოების ნოვატორები.

ცნობას, რომ მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ეძღვნება ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებს, დიდი კმაყოფილებით შეხვდება ყველა კომუნისტი, ყველა საბჭოთა ადამიანი.

სკკპ პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნულია: პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ ორი ათწლეულის მანძილზე შექმნან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის, განუწყვეტლივ უნდა ვაუმჯობესოთ წარმოების ხელმძღვანელობა და დაეგმვა, სულ უფრო რაციონალურად და ეფექტიანად გამოვიყენოთ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, ბუნებრივი სიმდიდრენი, მივაღწიოთ საზოგადოების ინტერესებისათვის რაც შეიძლება მეტ შედეგებს რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ პროგრამის განხორციელებას ხმარდება პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მთელი მრავალმხრივი საქმიანობა. როგორც ცნობილია, ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ყოველმხრივ განხილულ იქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამოცანები. ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპით გარდაქმნის, ტექნიკური პოლიტიკის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის, მრეწველობისა და მშენებლობის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა ამოცანები პარტიის იდეოლოგიური მუშაობისა თანამედროვე პირობებში. ამ პლენუმების გადაწყვეტილებანი უდიდეს როლს ასრულებენ კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილში სახალხო-სამეურნეო გეგმების შემუშავების ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ დაისახა წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის სრულყოფის, მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანა. პარტიამ მოითხოვა წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისას პრიორიტეტი მიენიჭოს წარმოების ყველაზე პროგრესულ და ხელსაყრელ დარგებსა და მიმართულებებს. ერთ-ერთი პირველი ადგილი ასეთ პროგრესულ დარგებს შორის სამართლიანად ეკუთვნის ქიმიურ ინდუსტრიას.

ამ ბოლო ათწლეულში, აღადგენდა რა სახალხო მეურნეობისა და დაგეგმვის ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, პარტიას არაერთხელ განუხილავს ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხები. ამას, როგორც ცნობილია, 1958 წელს მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმი. ამ პლენუმის დადგენილებას, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებს რომ ასრულებდნენ, პარტიამ, საბჭოთა ხალხმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს ქიმიური ინდუსტრიის განვითარებაში. შვიდწლედის ხუთ წელიწადში ქიმიური მრეწველობის საერთო პროდუქცია 1,9-ჯერ გაიზრდება.

მაგრამ ის, რაც ქიმიური ინდუსტრიის განვითარებაში გაკეთდა, მხოლოდ დასაწყისია. ჯერჯერობით ჩვენი მრეწველობა უშვებს გაცილებით ნაკლებ ქიმიურ პროდუქციას, ვიდრე ჩვენს ქვეყანას სჭირდება. ქიმიური წარმოების დონე და მისი სტრუქტურა არ შეესაბამება ქიმიის უმდიდრეს შესაძლებლობებს.

სკკპ პროგრამაში ნათქვამია:

„ერთ-ერთი უაღრესად დიდი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ქიმიური მრეწველობა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სრულად გამოვიყენოთ მიღწევები თანამედროვე ქიმიისა, რომელიც უაღრესად აფართოებს სახალხო სიმდიდრის ზრდის წარმოების ახალი, უფრო სრულყოფილი და იაფი საშუალებებისა და სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების შესაძლებლობებს. ლითონს, ხეს და სხვა მასალებს სულ უფრო მეტად შეცვლის ეკონომიური, პრაქტიკული და მსუბუქი სინთეზური მასალები. მკვეთრად გაიზრდება მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოება“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი პარტიის პროგრამაზე დაყრდნობით შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რათა დაჯარჭოთ ქიმიური ინდუსტრიის განვითარება, გავზარდოთ მინერალური სასუქების, პლასტიკური მასების, სინთეზური მასალების წარმოება და ფართოდ გამოვიყენოთ ისინი სახალხო მეურნეობაში. პარტია მოგვაწოდებს გამოვიჩინოთ სახელმწიფოებრივი გაქანება და ეკონომიკის ცოდნით შეკაზმულობა და უდიდესი სარგებლობა, რასაც სახალხო მეურნეობას აძლევს ქიმიური ინდუსტრიის განვითარება.

უპირველესი მნიშვნელობის გადაუდებელი ამოცანაა მინერალური სასუქების წარმოების გაფართოება. ცნობილია, რომ დღემდე მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანა წყდებოდა უმთავრესად ნათესი ფართობების გადიდების გზით. ეს სწორი ხაზი იყო. სანამ სახელმწიფოს არ შეეძლო გამოეყო საჭირო საშუალებანი ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის და მოემარაგებინა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მინერალური სასუქებით, ძნელი იყო ვეკვარაუდნა, რომ ერთიორად და ერთიასამად გავადიდებდით მოსავლიანობას. ახლა მდგომარეობა იცვლება. პარტია ფართო გზას უხსნის სასოფლო-სამეურნეო ქიმიას. ამ პიროდებში მარცვლეული და სხვა კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი აღმავლობა, წარმოების ინტენსიფიკაცია გენერალური მიმართულება ხდება ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ახლა სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველთა საფუძველი, მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა მინერალური სასუქების წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება.

ქიმია კეთილნაყოფიერ, გამარეოლუციურებელ გავლენას ახდენს მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგზე, მშენებლობასა და ტრანსპორტზე. იგი მრეწველობას, მშენებლობასა და ტრანსპორტს აძლევს ახალ იაფ, მსუბუქ და მტკიცე მასალებს — პოლიეთილენს, პოლიქლორვინილს, მინაპლასტებს, სინთეზურ ფისებსა და ბოჭკოებს, პლასტმასებს. ჩვენს ქვეყანას განუსაზღვრელი შესაძლებლობანი აქვს იმისათვის, რომ შექმნას და აწარმოოს ახალი ქიმიური ნივთიერებანი, რომელთა გამოყენება გვაძლევს უდიდეს ეკონომიურ სარგებლობას, ზრდის საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას, საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილებანი.

ქიმიური მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარება მთელი ჩვენი საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის გაზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. უფრო მძლავრ ქიმიურ ინდუსტრიას რომ შევქმნით, ჩვენ უზრუნველყოფთ საშუალებათა სწრაფად დაგროვებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დაჩქარებული ტემპებით განვავითაროთ წარმოების ყველა დარგი. ქიმიურ საწარმოთა მშენებლობა მეტად მოკლე ვადაში ნაზღაურდება, რის შემდეგ ისინი სახელმწიფოს აძლევენ დიდ მოგებას. ქიმია ერთგვარი ზარაფხანაა, რომელიც ჰედავს ოქროს, ქმნის დოვლათს.

„პირველ რიგში, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, — უნდა უზრუნველყოთ ქიმიური მრეწველობის უპირატესი განვითარება. რატომ უნდა გავაკეთოთ ეს? იმიტომ, რომ ქიმიის საშუალებით უფრო სწრაფად და ადვილად წყდება კომუნისტური მშენებლობის ყველაზე საარსებო ამოცანები: შრომის ნაყოფიერების გადიდება. საზოგადოებრივი სიმდიდრის სწრაფი ზრდა, კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნა“.

პარტია აღადგენს კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, მეურნეობის მართვაში აბამს ფართო მასებს და ამ ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და ეკონომიკის განვითარების ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხი გამოაქვს მშრომელთა განსახილველად. ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი ქიმიის განვითარების საკითხებს რომ მიეძღვნება, ეს შედარებით დიდი ხანია ცნობილია. ეს ჯერ კიდევ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ითქვა. ამიტომ პარტიულ ორგანიზაციებში, საწარმოებში და მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებში უკვე მიმდინარეობს მზადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმისათვის. კომუნისტებს, მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მეცნიერებს შეაქვთ საყურადღებო წინადადებანი, ეძებენ ქიმიის დაჩქარებული განვითარების რეზერვებსა და შესაძლებლობებს, ავლინებენ ნაკლოვანებებს მუშაობაში, იღებენ ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის. ახლა კიდევ უფრო გაძლიერდა მზადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის. საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან ბრძოლას შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური პროდუქციის წარმოების გაფართოებისათვის, დიდი ქიმიის მშენებლობებზე ახალ სიმძლავრეთა უსწრაფესად ამოქმედებისათვის.

ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეხვედეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს!

ПРАВДА

12 ნოემბრის მოწინავე.

ქიმიკოსთა სიტყვა

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივი დიდი ინტერესით გაეცნო ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ, რომელმაც უნდა განიხილოს ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და ქიმიური პროდუქტებისა და მასალების სახალხო მეურნეობაში ფართოდ გამოყენების საკითხი.

როგორ ხვდებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა აზოტოვანი სასუქების ქარხნის მთავარ ინჟინერს ი. გრძელიძეს.

ჩვენს ქარხანაში, — თქვა მან, — უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საერთო პროდუქციის გამოშვება რამდენჯერმე გაიზარდა. მომავალში კიდევ უფრო გავადიდებთ სასუქების გამოშვებას. ამ დღეებში ძირითადად დამთავრდა მინერალური სასუქების დამზადების საამქროთა გაფართოება. მწყობრში ჩადგა ახალი აგრეგატები: ამიაკის სინთეზის აგრეგატი, ორმწკრივი საცირკულაციო და მძლავრი საირო კომპრესორები და სხვა. სულ ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა 25 მეტრი სიმაღლის კოშკი ამიაკური გვარჯილის გრანულირებისათვის.

სურათებზე: ზემოთ — ახალი კოშკი ამიაკური გვარჯილის გრანულირებისათვის. ქვემოთ — № 3 საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ): მეაპარატე მ. მიხაილოვა, ცვლის უფროსი მ. დულაშვილი, ლაბორანტი რ. ბოგდანოვა, მეაპარატე ნ. ჭაჯაია.

ფოტო გ. კოკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1963 წლის 16 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 ნოემბერი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ბუდაპეშტში ჩავიდა

ბუდაპეშტი, 12 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით უნგრეთში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟავანაძე. დელეგაციის წევრები გაეცნობიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, გაუზიარებენ მათ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, ეწვევიან ბუდაპეშტისა და უნგრეთის სხვა ქალაქების საწარმოებს, შეხვდებიან უნგრელ მშრომელებს.

ფერიჰედის აეროდრომზე საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი დეზე ნემეში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რეზე ნიერში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის მდივანი დეზე კიში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე იმრე ჰოლაი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში გ. ა. დენისოვი.

საკდესის ცნობა

„კოსმოსი—21“ მიფრინავს

1963 წლის 11 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გამგეზეული „კოსმოსი-21“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

წინასწარი მონაცემებით, თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომელიც უახლოესდება გაანგარიშებულს. მისი პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი 88,5 წუთი, მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 229 კილომეტრი, მინიმალური დაშორება (პერიგეა) — 195 კილომეტრი, ეკვატორის სიბრტყისადმი ორბიტის დახრილობის კუთხე — 64 გრადუსი და 50 მინუტი.

თანამგზავრზე არის რადიოსისტემები ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის და რადიოტელემეტრიული აპარატურა, რათა დედამიწაზე გადმოსცეს მონაცემები თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დაკვირვებასა და ტელეტერიული ინფორმაციის მიღებას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საკომანდო-საზომი კომპლექსის მიწისზედა პუნქტები.

მილმგლინავთა რეკორდი

დნეპროპეტროვსკი. (საკდესის კორ.). ინდუსტრიულ ლენინგრადში მოედო თვალსაჩინო რეკორდის დამყარების ამბავი. ეს რეკორდი დაამყარა ზ. დინდიკოვის სახელგანთქმულმა კომუნისტურმა ბრიგადამ ლენინის სახელობის ქარხნის მილების უწყვეტი გლინვის მძლავრი დგანით. ერთ ცვლაში ბრიგადამ გამოუშვა 3.670 ცალი გაზსადენი მილი — ნორმაზე გაცილებით მეტი. ასეთ დიდ შედეგს ჩვენს ქვეყანაში მომუშავე მსგავსი აგრეგატებით პირველად მიაღწიეს.

გულგარეთის პარლამენტარები მოსკოვიდან გაემგზავრნენ

მოსკოვი, 12 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვეული საბჭოთა კავშირში ორ კვირაზე მეტ ხანს იმყოფებოდა ბულგარეთის სახალხო კრების დელეგაცია. გარდა მოსკოვისა, სტუმრები იყვნენ საქართველოში, სოფსა და ლენინგრადში.

დღეს დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ნ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სისტემაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მიხეილ ნიკოლოზის-ძე **ინაური** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 12 ნოემბერი.

ჩვენი სტუმრები

თბილისში ჩამოვიდა კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის დელეგაცია

გუშინ, 12 ნოემბერს, თბილისში ლენინგრაღიდან ჩამოვიდა კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის გეხეოალური მდივნის მოვალეობის შემასრულებელი ბურუდი ნაბვეია.

სტუმრების შესახვედრად აეროპორტში მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რ. რ. დვალი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. გ. სტეფუა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაშაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი გ. გ. აბაშიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გაგოშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რ. რ. დვალი გულთბილად მიესალმა ჩამოსულებს. მან თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს იმ ბრძოლას, რომელსაც აფრიკელი ხალხები აწარმოებენ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლის წარმატებანი, რომლის შედეგადაც აფრიკის მთელმა რიგმა ხალხებმა მოიპოვეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა, გულწრფელად ახარებთ საბჭოთა კავშირის ხალხებს.

ახლა ჩვენს ყურადღებას იპყრობს, — განაგრძო რ. რ. დვალმა, — კენიის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რაც კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებს. სულითა და გულით გისურვებთ წარმატებებს დასახული მიზნის მიღწევაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბურუდი ნაბვეიამ. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ჩამოვედით საქართველოში. უკვე გვქონდა შესაძლებლობა ეწვეოდით თქვენი ქვეყნის ზოგიერთ ქალაქს და თქვენთან ლენინგრადიდან ჩამოვედით. რამდენადაც ჩვენ საბჭოთა-სამეურნეო ქვეყნის წარმომადგენლები ვართ, გვაინტერესებს როგორ წარმოება თქვენი მეურნეობა.

ბურუდი ნაბვეიამ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის.

აეროდრომიდან დელეგაციის წევრები გაეცნობიან ქალაქში. მათ გულთბილად მიესალმებოდნენ თბილისელები. (საკდესი).

1963 წლის 10 ნოემბერს შესრულდა თურქეთის ეროვნული გმირის ქემალ ათათურქის გარდაცვალების 25-ე წლისთავი. თურქეთის გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ მთავარმა რედაქტორმა ეჯვეთ გიურესინმა სთხოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს თავისი აზრი გაგზავნოთ ქემალ ათათურქის შესახებ.

ქვემოთ ვქვეყნდება ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი გაზეთ „ჯუმჰურიეთისადმი“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი თურქეთის გაზეთ „ჯუმჰურიეთს“

ქემალ ათათურქი და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა

პატივცემულო ბატონო მთავარო რედაქტორო!

სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას — გაგიზიაროთ გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ ფურცლებზე ჩემი აზრი თურქეთის ეროვნული გმირის ქემალ ათათურქის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში კარგად იცნობენ ათათურქს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მთელი ეპოქა თურქი ხალხის ბრძოლისა თავისი დამოუკიდებლობისათვის, თურქეთის ეროვნული აღორძინებისათვის.

ათათურქმა თურქი ხალხი დარაზმა მამაცური ბრძოლისათვის რეაქციის ძალების წინააღმდეგ, იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ იარაღით დაეთრგუნათ თურქი ხალხი და დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიად გადაექცია თურქეთი. მას უნდა უმადლოდეს თავის დაბადებას ახლო და შუა აღმოსავლეთის პირველი რესპუბლიკა, რომლის შექმნა ბევრი ხალხისათვის გახდა დამატებითი სტიმული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გასაშლელად. ათათურქის მოწოდებანი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რაც მას წმიდათაწმიდა საქმედ მიაჩნდა, აღაფრთოვანებდნენ არა მარტო თურქ ხალხს, არამედ გამოხმაურებას პოულობდნენ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც.

ათათურქმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ აღმოეფხვრა თურქეთის საუკუნოვანი ჩამორჩენა. მის მიერ განხორციელებული რეფორმები ხელს უწყობდა თურქეთის ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებას და ქმნიდა წანამძღვრებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისათვის. ათათურქის მმართველობის წლებში გაიზარდა თურქეთის საერთაშორისო ავტორიტეტი, თურქეთმა იწყო სულ უფრო დიდი როლის შესრულება მსოფლიო პოლიტიკაში.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ათათურქის სახელი განსაკუთრებით ღირსსახსოვარია იმიტომაც, რომ მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ჩვენს დიდ ბელადთან და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელთან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან. წერილებსა და მიმართვებში ვ. ი. ლენინისა და საბჭოთა მთავრობისადმი ათათურქი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების საჭიროებას, მიაჩნდა რა საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თურქი ხალხის ბრძოლის წარმატების საიმედო გარანტიად.

ღირსშესანიშნავია, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველი საგარეო-პოლიტიკური აქტი იყო ქემალ ათათურქის 1920 წლის 26 აპრილის წერილი ვ. ი. ლენინის სახელზე. წერილი შეიცავდა წინადადებას თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ და თხოვნას — დახმარებოდა თურქეთს მის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის. ათათურქის მიმართვას ვ. ი. ლენინი გაგებით შეხვდა. საბჭოთა მთავრობის პასუხში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „იგი ბედნიერია მტკიცე სძირკველი ჩაუყაროს მეგობრობას, რომელმაც უნდა გააერთიანოს თურქი ხალხი და რუსი ხალხი“. მალე დაიდო ხელშეკრულებანი თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის „მეგობრობისა და ძმობის“ შესახებ. საბჭოთა რუსეთთან კავშირმა დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდა დამოუკიდებელი თურქეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ათათურქი მუდამ გამოთქვამდა მისწრაფებას მეგობრობის საფუძველზე განემტკიცებინა საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა. „ჩვენ, — ხაზგასმით აღნიშნავდა იგი 1922 წლის 4 იანვრის წერილში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურისადმი, — არასოდეს არ დავდებთ შეთანხმებას და არ შევალთ კოალიციაში, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იქნება მიმართული საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ“. ათათურქის საგარეოპოლიტიკური პრინციპები უაღრესად ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

რა თქმა უნდა, ათათურქის შეხედულებებსა და საბჭოთა კომუნისტების იდეებს შორის, თურქეთში ქემალისტური მოძრაობისა და რუსეთში სოციალისტური რევოლუციის მიზნებს შორის ძირეული განსხვავებანი იყო. მაგრამ იდეოლოგიაში განსხვავება ხელს არ უშლიდა ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს ეცხოვრათ მშვიდობითა და მეგობრობით, ერთიანი ფრონტით ემოქმედნათ იმ დროის მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

ასევე არ არის რაიმე სერიოზული მიზეზი, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებასა და საბჭოთა კავშირის მრავალმხრივ თანამშრომლობას იმდენადვე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც ქემალის წლებში.

საბჭოთა კავშირი განუჯერელად ახორციელებს მსოფლიო პოლიტიკაში სხვადასხვა სოციალური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს, რომელიც ვ. ი. ლენინმა გამოაცხადა. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიმართავს წინადადებით, ისე წარმართონ ურთიერთობა, რომ ომი სავსებით გამორიცხოს სახელმწიფოთა შორის დავის გადაჭრის საშუალებებიდან. მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსი ითვალისწინებს აგრეთვე ჩაურევლობას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, თვითეული ხალხის იმ უფლების აღიარებას, რომ დამოუკიდებლად გადაჭრას თავისი ქვეყნის პრობლემები, ყველა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ პატივისცემას, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

დღეს ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები, რომლებიც პირველად იქნა გამოყენებული ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთის თანამშრომლობაში, სულ უფრო ფართოდ აღიარებულია, როგორც ერთადერთი რეალური საფუძველი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის სულ უფრო მეტი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე მიდის იმ დასკვნამდე, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ გამანადგურებელი თერმობირთვული ომი. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დიდი წარმატება იყო ის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომლის მონაწილენიც დედამიწის სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობასთან ერთად საბჭოთა კავშირი და თურქეთი გახდნენ.

ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელსაყრელ შესაძლებლობებს ქმნის სხვა საერთაშორისო საკითხების გადაჭრისათვის. ამ ხელშეკრულების დადების შედეგად გაჩნდა ურთიერთნდობის პირველი ყლორტები, ადამიანებმა დაინახეს, რომ სხვადასხვა მყარებას დღეს. ამჟამად თურქეთისა და საბჭოთა კავშირის მრავალმხრივ თანამშრომლობას იმდენადვე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც ქემალის წლებში.

საბჭოთა კავშირი განუჯერელად ახორციელებს მსოფლიო პოლიტიკაში სხვადასხვა სოციალური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს, რომელიც ვ. ი. ლენინმა გამოაცხადა. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიმართავს წინადადებით, ისე წარმართონ ურთიერთობა, რომ

ვარტიული ცხოვრება

იდეური წრთობა
შემოქმედებითი აქტივობის წყაროა

ო. აბესაძე,
წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, შრომა და აღზრდა განუყოფელია, ეს ერთი პროცესის ორი მხარეა. იდეური წრთობა, იდეური სიმტკიცე ადამიანის შემოქმედებითი აქტივობის წყაროა.

იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებამ, ცხოვრებასთან კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის," ბრიგადის, განყოფილების კონკრეტულ პროცესებთან მისმა დაკავშირებამ კიდევ უფრო აამაღლა სოფლის მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა.

თუმცა სამეურნეო წლის დამთავრებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ მიუხედავად ამ-ნდის არახელსაყრელი პირობებისა, წინა წელთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქტების წარმოება.

როგორც ცნობილია, ჩვენმა მეჩაიეებმა წლის პირველ ნახევარში მიღწეული შედეგებისათვის, საწარმოო სამმართველოთა მეორე ჯგუფში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაამსახურეს. ამ მაღალი შეფასების პასუხად კიდევ უფრო გაძლიერდა მუშაობის ტემპი, მეჩაიეებმა მოკრეფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 8.017 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ჯაშინ როცა წლიური გეგმა 6.800 ტონას ითვალისწინებდა. საგულისხმოა ისიც, რომ უკლებლივ ყველა მეურნეობამ, ბრიგადამ და რგოლმა სასახელოდ შეასრულა „ფუვანე ოქროს" დამზადების გეგმებიცა და ნაკისრი ვალდებულებებიც.

საწარმოო სამმართველომ გადაჭარბებით შეასრულა ხახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის დავალება. გადამეტებით შეასრულეთ აგრეთვე აბრეშუმის პარკის, დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმები.

ცხადია, ეს წარმატებები თავისთავად არ მოსულა, ეს იდეურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზატორული მუშაობის სწორად შეხამების ნაყოფია.

იდეოლოგიურ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის გადამწყვეტ რგოლს — პარტიულ პროპაგანდას, მასების პოლიტიკურ განათლებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ახალი სასწავლო წლიდან პოლიტიკური განათლების სისტემაში დიდი ადგილი დავუთმეთ კომუნისტებინს, უპარტიო კოლმეურნეების შეიარაღებას ეკონომიური ცოდნით. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა და მეცადინეობას შეუდგნენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრეები და სემინარები, დაწყებითი ეკონომიური სკოლები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკები, სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მათ შორის ექვსი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ხოლო ორი — საბჭოთა მეურნეობას დირექტორი.

ეკონომიურ განათლებას ახლა 1.700-ზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი ეუფლება, თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე გასულ სასწავლო წელს. ხელმძღვანელი კადრების სწავლებისათვის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი მუდმივმოქმედი სემინარი.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან მუშაობს პოლიტსკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების ფართო ქსელი, რომელშიც ოთხი ათასამდე კაცია ჩაბმული.

პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები აწყობენ თეორიულ და ეკონომიურ კონფერენციებს, ლექტორის დღეს, თემატურ და კითხვა-პასუხის საღამოებს. ამას წინათ ეკონომიური კონფერენცია თემაზე: „ავამოქმედოთ ყველა რეზერვი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის" მოიწყო გეგუთის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. პლენუმის მასალებს მიეძღვნა კონფერენციები მაღლაკის, გურნის, ხრესილისა და კურსების კოლმეურნეობებში.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია სოფლის მშრომელთა შორის საგაგანა-ციო-მასობრივი მუშაობა. ახლა სოფლად 48 აგიტკოლექტივი და მრავალი ახალი აგიტატორი მუშაობს.

წინათ აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებად ძირითადად გამოყენებული იყვნენ პედაგოგები. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ აგიტკოლექტივის მუშაობა უფრო ქმედითია იქ, სადაც მისი ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკს. ახალ-სოფლის კოლმეურნეობაში აგიტკოლექტივს უნარიანად ხელმძღვანელობს ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ქათამაძე.

აგიტატორთა, მრთამკანდიდატთა და ლექტორ-მომხსენებელთა შორის ბევრია ხელმძღვანელი პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი. საგულისხმოა, რომ მარტო საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის აპარატის მუშაკებმა მიმდინარე წლის ცხრა თვეში სოფლის მშრომელთა წინაშე წაკითხეს მრავალი პოლიტიკური მოხსენება და ლექციები.

რვაასამდე კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშაა გაერთიანებული მოწინავე გამოცდილების შესწავლის, მისი წარმოებაში ფართოდ დანერგვის მიზნით განზრახული გვაქვს გეგუთის საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნაა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი.

სოფლის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია გულისყურით ეკიდება სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, მის საჯაროობას. გვიშტიბის, რიონის, ბუზნერის, სოჩხეთის, ქვილიშორისა და ძმუისის კოლმეურნეობებში რეგულარულად აჯამებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს, ავლინებენ მოწინავეებს და სათანადოდ ახალისებენ მათ.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა კეთილსასურველ შედეგებს ვერ მოგვცემს, თუ იგი მჭიდროდ არ აერწყმა დაბალშემოსავლიან ოჯახად ორგანიზებულ საქმიანობასთან. არც ისე დიდი ხნის წინათ წყალტუბოს კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი იყო საწარმოო სამმართველოში. პარტიულმა კომიტეტმა გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა — გადახალისდა ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა, კოლმეურნეთა წინაშე ლექციებითა და პოლიტიკური მოხსენებებით გამოვიდნენ საწარმოო სამმართველოს და პარტიული კომიტეტის მუშაკები, ფართოდ გაჩაღდა კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაკეთდა ბრძოლა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის. ყოველივე ამის შედეგად მდგომარეობა გაუმჯობესდა.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლის, მისი წარმოებაში ფართოდ დანერგვის მიზნით განზრახული გვაქვს გეგუთის საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნაა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი.

სოფლის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია გულისყურით ეკიდება სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, მის საჯაროობას. გვიშტიბის, რიონის, ბუზნერის, სოჩხეთის, ქვილიშორისა და ძმუისის კოლმეურნეობებში რეგულარულად აჯამებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს, ავლინებენ მოწინავეებს და სათანადოდ ახალისებენ მათ.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა კეთილსასურველ შედეგებს ვერ მოგვცემს, თუ იგი მჭიდროდ არ აერწყმა დაბალშემოსავლიან ოჯახად ორგანიზებულ საქმიანობასთან. არც ისე დიდი ხნის წინათ წყალტუბოს კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი იყო საწარმოო სამმართველოში. პარტიულმა კომიტეტმა გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა — გადახალისდა ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა, კოლმეურნეთა წინაშე ლექციებითა და პოლიტიკური მოხსენებებით გამოვიდნენ საწარმოო სამმართველოს და პარტიული კომიტეტის მუშაკები, ფართოდ გაჩაღდა კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაკეთდა ბრძოლა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის. ყოველივე ამის შედეგად მდგომარეობა გაუმჯობესდა.

კოლმეურნეობამ, პირველად წელს, გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. აღმავლობის გზაზეა მეურნეობის სხვა დარგები.

იდეოლოგიურ მუშაობაში სულ უფრო ფართოდ გნერგავთ საზოგადოებრივ საწყისებს. პარტიულ კომიტეტთან მუშაობს იდეოლოგიური კომისია. სოფლებში მაღლაკსა და ორპირში შეიქმნა პოლიტიკური განათლების საზოგადოებრივი კაბინეტები. პროპაგანდისტთა იდეური დონის ამაღლებისა და მეთოდური დახმარებისა მიზნით ამ კაბინეტებთან არსებობენ მეთოდური საბჭოები, მუდმივმოქმედი სემინარები, ლექტორთა ჯგუფები, მოწყობილია სტენდები, სახწავლო პროგრამების, სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის გამოფენა. მალე ასეთივე კაბინეტები შეიქმნება ოფშვეთისა და ოფურჩხეთის კოლმეურნეობებში. ახლა ექვს სოფელში მუშაობენ აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი რადიოგაზეთების რედაქციები, ხოლო გვიშტიბსა და ზარათში — ამ სოფლების ცენტრიდან დაშორებულ უბნებში — საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები.

პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა ამ უკანასკნელად განსაკუთრებით გაძლიერეს ბრძოლა რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის, ქელეხებისა და წარსულის სხვა მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ.

სოფელ მაღლაკში „ელიობის" რელიგიურ დღესასწაულს დავუპირისპირეთ ფართო კულტურულ-მასობრივი და საორტული ღონისძიებანი, რომლებმაც მთელი სოფლის მოსახლეობა მიიზიდა. რელიგიური დღესასწაული კი, რასაც თან ხდებოდა ლოთობა და ღრეობა, ჩაიშალა.

წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა რაიონის შრომელთა წარმომადგენლების თათბირი. ამჟამად სასოფლო ყრილობაზე განხილვენ საკითხს წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლის შესახებ.

და მაინც ყოველივე ამის მიუხედავად, პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია.

სოფელ ეკეკეულის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში პოლიტიკური მუშაობა ძველებურად, მედავთნურად წარმოებს, დაკავშირებული არ არის საზოგადოებრივი მეურნეობის საარსებო, კოლმეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

საერთაშორისო
დეკალური სწავლული ბიბლიოთეკა
სხვადასხვა

უძლიერეს მუსიკოსთა კონკურსი

პარიზი, 12 ნოემბერი. (საკადესი). ოთხასამდე ვირტუოზი მუსიკოსი მონაწილეობს მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის მეგიოლინეთა და პიანისტთა ტრადიციულ საერთაშორისო კონკურსში, რომელიც დღეს დაიწყო აქ. კონკურსში მონაწილეობენ შვიდი საბჭოთა მეგიოლინე და ორი პიანისტი, ჟიურიში შედიან სახელგანთქმული საბჭოთა მუსიკოსები ე. გილელსი და ლ. კოგანი. კონკურსი 23 ნოემბრამდე გასტანს.

გენ გელა:

„ჩვენ მტკიცე რწმენით მივდივართ წინ“

ალჟირი, 12 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ ეთნი თვის შესვენების შემდეგ, რაც გამოიწვია საომარმა მოქმედებამ ალჟირ-მაროკოს საზღვარზე, განახლდა ალჟირის რესპუბლიკის ეროვნული კრების სხდომები. სხდომაზე მთავრობის განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა ბენ ბელამ.

თავის განცხადებაში პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საზღვარზე კვლავ აღდგენილია მშვიდობა. ამჟამად ძალიან ბევრი ძალა, თქვა ბენ ბელამ, დაინტერესებულია, რომ ჩაიფუშოს სოციალისტური მშენებლობა ალჟირში, ძალიან ბევრი ძალა ცდილობს გამოიყენოს ყველა ჩვენი სიძნელე, და ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიჩინოთ თუნდაც ოდნავი შემწყნარებლობა, არ შეგვიძლია არ ვეცადოთ გამოვასწოროთ თითოეული ჩვენი შეცდომა.

შეეხო რა ბამაკოს კონფერენციას, ბენ ბელამ განაცხადა, რომ ალჟირელ ხელმძღვანელებს „ყოველთვის მიაჩნდათ და კვლავ მიაჩნიათ, რომ აფრიკის პრობლემები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ჩვენი კონტინენტის ჩარჩოებში, მხოლოდ იმ ორგანიზაციის ჩარჩოებში, რომელიც თვით აფრიკელებმა შექმნეს — აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ჩარჩოებში.

აფრიკის პრობლემები კოლონიური ბატონობის მემკვიდრეა, და ჩვენ შესაძლებლობა უნდა მოგვეცეს ისე გადავჭრათ ეს პრობლემები, როგორც ჩვენ თვითონ გვსურს. დაე კოლონიზატორებმა ერთხელ და სამუდამოდ შეწყვიტონ ჩარეცა აფრიკის საქმეებში“.

„აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ზევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ადის-აბების კონფერენციამ, — განაგრძო პრეზიდენტმა, — მთელ მსოფლიოს უნდა უჩვენოს, რომ თავისუფალ აფრიკელებს უნარი შესწევთ გადაჭრან საკუთარი პრობლემები სამართლიანობისა და მშვიდობის სულისკვეთებით“.

შემდეგ ბენ ბელა შეეხო საშინაო მდგომარეობას და აღნიშნა, რომ „ვითარება ალჟირში ხელსაყრელი იქმნება. სასაზღვრო კონფლიქტმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ალჟირელი ხალხის რევოლუციური ერთობა. ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო განვამტკიცოთ ეს ერთობა“.

ბენ ბელამ აღნიშნა, რომ მალე გაიმართება ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ყრილობა. და განაცხადა:

ჩვენ მტკიცე რწმენით მივდივართ წინ, — განაცხადა დასასრულ პრეზიდენტმა, — და ყველა პირობას ვქმნით ახალი წარმატებებისათვის. ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ!“

ბენ ბელას სიტყვას ეროვნული კრების სხდომის დამსწრე დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ.

საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებისათვის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი ბ. ვასილიევი იუწყება:

გუშინ დღის პლენარულ სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ გაიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ იმ მიზნებს, რომლებსაც მომავალი კონფერენცია ისახავს, უართოდ უჭერს მხარს საერთაშორისო საზოგადოებრიობა და. ურჩევს კონფერენციის მონაწილეებს თავიანთ მუშაობაში ფუძემდებელ მასალად გამოიყენონ განვითარების გზაზე დამდგარი 75 ქვეყნის ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც მოცემულია ისეთი ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის პრინციპები, რაც გამორიცხავს საგაჭრო ბარიერებსა და დისკრიმინაციას.

ასამბლეის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გ. კ. არკადიევი. მან განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის მოწვევა ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე, სსრ კავშირის დელეგაციის აზრით, მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებაა, რომელიც ბევრად შეუწყობს ხელს ვაჭრობის ნორმალიზაციასა და განვითარებას თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. საბჭოთა დელეგატმა ხაზი გაუსვა, რომ კონფერენციის მთავარი ამოცანაა შეიმუშაოს ქმედითი რეკომენდაციები და ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იქნება ვაჭრობის განვითარება მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის იხე, რომ აღიკვეთოს დისკრიმინაცია და ხელოვნურად შექმნილი შეზღუდვები და დაბრკოლებები. საბჭოთა დელეგატმა განაცხადა, რომ სსრ კავშირი ყოველთვის მხარს უჭერდა და კვლავ მხარს უჭერს ქვეყნებს შორის ფართო საქმიანი ურთიერთობის დამყარებას მათი ეკონომიური განვითარებისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

•ასამბლეამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც ეხება რადიაქტიურ ნალექებს. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ და ურჩევს მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციას განახორციელოს განუწყვეტელი კონტროლი იმაზე, თუ როგორია რადიაქტივობის დონე ატმოსფეროში.

გადავაქციოთ ლათინური ამერიკა უაზომო ზონად

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი ლოსეი იუწყება:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე ლათინური ამერიკის 10 ქვეყანამ (ბოლივიამ, ბრაზილიამ, ჰაიტიმ, კოსტა-რიკამ, მექსიკამ, პანამამ, სალვადორმა, ურუგვაიმ, ჩილემ და ეკვადორმა) შეიტანა ერთობლივი პროექტი რეზოლუციისა „ლათინური ამერიკის უატომო ზონად გამოცხადება“. პროექტში აღნიშნულია, რომ კმაყოფილებით იღებენ ცნობად ლათინური ამერიკის ხუთი ქვეყნის პრეზიდენტების 1963 წლის 29 აპრილის განცხადებას, რომ მზად არიან „ხელი მოაწერონ მრავალმხრივ, ლათინური ამერიკის ქვეყნების შეთანხმებას, რომლითაც მათი ქვეყნები იკისრებენ ვალდებულებას არ აწარმოონ, არ მიიღონ, არ შეინახონ და არ გამოსცადონ ატომური იარაღი ან ატომური იარაღის გადასატანი მოწყობილობა“. პროექტში გამოთქმულია იმედი, რომ ლათინური ამერიკის სახელმწიფოები შეუდგებიან, რამდენადაც მიზანშეწონილად მიიჩნევენ ამას, „იმ ღონისძიებების შესწავლას, რომელთა შესახებ საჭიროა მოლაპარაკება, რათა განახორციელონ აღნიშნული განცხადების მიზნები“.

ზერელედ ნასწავლი „მასწავლებლები“

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკადესი). მასწავლებლები, რომლებიც ტანგანიკაში ჩავიდნენ ამერიკის მშვიდობის კორპუსის წარგზავნილებად, თვითონ არ არიან განსწავლულნი და მათი მომზადების დონე უფრო დაბალია, ვიდრე ტანგანიკელი მასწავლებლებისა. ტანგანიკაში მყოფ კორპუსის მოხაწილეთა მიმართ ეს ბრალდება წამოაყენა აღმოსავლეთ აფრიკის მასწავლებელთა საბჭოს მდივანმა ს. ნვალონგომ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ს. ნვალონგომ, რომელიც ტანგანიკის დედაქალაქ დარ-ეს-სალამში გამოვიდა, ბრალად დასდო ამერიკელ „მასწავლებლებს“ ის, რომ მათ არა აქვთ მასწავლებლისათვის საჭირო ელემენტარული მომზადება.

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ალჟირი.

საკადესის ფოტოქრონიკა.

ფრანჯის კასკადი

ავღანეთში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტის დამთავრების შემდეგ 1963 წლის ოქტომბერში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ერთობლივი კომუნიკე. მასში ნათქვამია, რომ „გაიმართა... აზრთა ურთიერთ გაზიარება საძიებო სამუშაოთა ერთობლივად შესრულებისა და სასაზღვრო მდინარე ფანჯის წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პროექტის შედგენის და მომავალში ჰიდროელექტროსადგურების კასკადისა და საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობის საკითხზე“.

◇ ◇ ◇

შუა აზიის ვეოგრაფიული რუკის სულ ერთ კვადრატში თავსდება მშფოთვარე მთის მდინარე ფანჯი. ტაჯიკურად ფანჯი ხუთს ნიშნავს. პამირის მყინვარებით შობილ ხუთ მდინარეს შეუერთდება თავისი ძალღონე, რომ შეექმნა წყალუხვი, სწრაფი, „ცდად დედამიწაზე“ გადმომჩქეფარე ფანჯი. ხოლო როცა იგი ხვდება მეორე მძლავრ მდინარეს, ვახშს, ისინი ერთად ქმნიან დიდ მდინარეს ამუ-დარიას, ძველთაგანვე განთქმულს კაცობრიობის ისტორიაში.

...ფანჯის ენერგეტიკული პოტენციალი უდიდესია. მიახლოებითი გაანგარიშებით, ეს ეტაპზე ას მილიარდ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას წელიწადში. ხოლო სათავეებთან ერთად მთელი აუზის სიმძლავრე ას ორმოცდაათ მილიარდ კილოვატ-საათს აღემატება! გაგახსენებთ: სსრ კავშირის ენერგეტიკული პოტენციალის თხუთმეტი პროცენტი თავმოყრილია შედარებით მცირე სივრცეზე, რომელიც შუა აზიის უმაღლეს ქედებს უჭირავთ. მთები კი ბედროენერგეტიკის „სამოთხეა“.

განუყრელი მეგობრო კავშირი არსებობს ამუ-დარიასა და ფანჯს შორის. ეი ფაქტები. დღეს ბუნებრივი დინებით ირწყვება დაახლოებით ორი მილიონი ჰექტარი ნაყოფიერი მიწები. პერსპექტივაში ეს ციფრი შეიძლება გადიდდეს მხოლოდ ერთი მილიონი ჰექტარით. ეს არის და ეს. ხოლო თუ მოვახდენთ ფანჯის რეგულირებას, ესე იგი ვაიძულებთ მას სრული ძალით იმუშაოს ადამიანთა საკეთილდღეოდ, შეექმნით მისი დინების გაყოლებით დიდ წყალსაცავებს, ეს სამმილიონიანი ბუნებრივი „ჭერი“ შეიძლება თითქმის ერთიორად გადიდდეს.

ამუ-დარიას არალის ზღვაში მეტი წყალი მიაქვს, ვიდრე აფრიკის ნილოსს ხმელთაშუა ზღვაში. ყოველ წამს არალს ერთვის ამუ-დარიის ორი ათას კუბურ მეტრზე მეტი წყალი. ამ რაოდენობის მეტ ნაწილს არალს უძღვნის ფანჯი.

ფანჯი დიდიხანია იზიდავს მეცნიერთა ყურადღებას თავისი თეთრი ნახშირის ხელუხლებელი მარაგით. მას შემდეგ, რაც ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის, ფანჯი სრულიად საკავშირო ინსტიტუტ „გიდროპროექტის“ მკვლევართა და დამპროექტებელთა კოლექტივის ზრუნვის საგანი გახდა.

— შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, — ამბობს „გიდროპროექტის“ ხელმძღვანელი დიმიტრი იურინოვი, — რომ საბჭოთა და ავღანელი ხალხების შეთანხმებული ერთობლივი ღონისძიებანი საესებით შეუცვლიან სახეს ამ მდინარეს, ჩაწერენ მის ბიოგრაფიაში „ამაღელვებელ ფურცლებს, უფრო სწორად, დასაბამს მისცემენ ახალ თავს. მშფოთვარე და მძლავრი მთის მდინარე ადამიანის ნების მორჩილი გახდება, მას ხასიათი გაუხდება დინჯი, წყნარი, კეთილი... ეი მისი გარდაქმნის საორიენტაციო სქემა, ასე ეთქვათ პირველი შავი მონახასახი.

მაგიდაზე გადაშლილია დიდი მასშტაბის ფიზიკური რუკა. და ის, რასაც თავისუფლად იტევს მსოფლიოს ატლასის ერთი კვადრატი, აქ, თითქოს ძლიერი გამადიდებელი შუშის ქვეშ, ბევრისმომქმელ, მკაფიო მრავალ დეტალს იძენს.

წინასწარი მონახაზით, — განაგრძობს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, — რაც გაკეთებულია: სასაზღვრო მდინარის მარტო მარჯვენა ნაპირიდან, ჩვენმა დამპროექტებელმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა იკარაუდეს მომავალი ჰიდროელექტროკასკადი. მათი აზრით, ფანჯზე უნდა „დაისვას“ თითქმის ჩვიდმეტი მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის რვა ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც ყოველწლიურად ოთხმოც მილიარდ კილოვატ-საათზე მეტს გამოიმუშავებენ.

დასახულ სადგურებს შორის ულველზე დიდია დაშტიჯუმისა და რუშანის სადგურები. ესენი ნამდვილი გოლიათები იქნებიან. პირველის სიმძლავრე იქნება თითქმის ხუთნახევარი მილიონი კილოვატი, მეორისა — სამ მილიონზე მეტი. ორ-ორ მილიონს გამოიმუშავებენ ტუგანისა და ჯუმარის ჰიდროელექტროსადგურები, დაახლოებით მილიონნახევარს — კალაიხუმბისა და ქვემო ფანჯისა. და მხოლოდ ორ ჰიდროელექტროსადგურს — მოსკოვისას ღონად შესაძლოა განხორციელდეს ფანჯი ხუთი სადგურის მშენებლობა. იმ რეა ჰიდროელექტროსადგურიდან, რომლებიც მოიფერებულია დამპროექტებლების მიერ.

სამწუხაროდ, ეკონომიკა ნაკლებია, რამდენად ფასდება ასეთ ... ...

უშბის ღიმილი

ფრთებაკვეშ თეთნულდი და შხელდაა. სვანური ქუდი ახურავს უშბახ. ვეფხვივით აჭრელებული შხარა. მესტიაში, საოცარი კოშკების ქალაქში ეშვება თვითმფრინავი. საათნახევარში დავფარე სალეგენდო გზა.

და მაინც ორმოცდაექვსი წლით დამაგვიანდა... სანდრო შანშიაშვილის გაზეთის „საქართველოს“ კორესპონდენტმა ლაგუჯმა ორმოცდაექვსი წლით გამასწრო ვირების და ცხენების ქარავნით...

ჩემი მოგზაურობა იყო 140 კილომეტრი სივრცეში — მთების გულში, ლაგუჯმა კი იმოგზაურა სივრცეშიც და დროშიც. ბურუუანიული თბილისიდან ჯორი ჩაგიყვანდა პირველყოფილ სვანეთში. უღელტეხილებს მთიდან მთაზე კი არა, საუკუნიდან საუკუნეში გადაჰყავდა ადამიანი. ახლა სვანეთში კი იგივე დროა, რაც თბილისში. ახალმა სვანეთმა მზეს გაუსწორა საათიც და ნანიჭიც. „მთვარის მოტაცებაში“ ქორა-მაზვი კითხულობს, მართალია — ადამიანებმა სახლებს ასწავლეს ფრენაო. ახალ სვანეთში მახვშები უკვე მეოთხედი საუკუნეა თვითონ ხედავენ, თუ როგორ დააფრენენ ჯეელი სვანები „შხარაზე მაღლა „მფრინავ სახლებს“, მესტიასა და ქუთაისს შორის...

სად არის პატრიარქალური სვანეთი, რომელზეც ენგელსი წერდა. ახალი ცხოვრება დამკვიდრდა მთებში.

ჩვენს თვითმფრინავს სვანი მფრინავი ვაჟა ფალიანი მართავს. ორბივით ფრენა ყიული რატიანსაც, იბრაგიმ გვარლიანსაც, მირონ ჩხართოლანსაც უსწავლიათ.

სვანეთს ორბის ფრთები აქვს.

მე ვნახე სოციალისტური სვანეთი, ახალი სვანეთი — მზისკენ ლომის გაბედული ნახტომი.

— ჩვენს თვითმფრინავს კოშკებიდან ალბათ მახვშები უყურებენ? — წამოცდა ანაზღად.

— მახვშები? — მახვშები კოლმეურნეობაში მუშაობენ, — გაიღიმა სვანმა ჭაბუკმა.

... რადისტი კაბინას აღებს და გვეუბნება:

— აი, მოუსმინეთ ამ მახვშს, რადიოთი როგორ ლაპარაკობს.

— მახვში რადიოთი?

— ჰო, სვანეთშიც. რა გაგიკვირდათ.

რადიოტალღებს შხარის კალთებიდან მოჰქონდათ ხორხისმიერი ქართული ფრაზები. ფრთებქვეშ იყო სოფელი კალა.



— ეს არის კალის მახვშის — შოთა მარგვლიანის ხმა...

— რა ხნისაა იგი?

— ოცდათორმეტი წლისა...

— დღეს სვანეთში ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახალგაზრდაა.

ზის კალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შხარის კალთებზე გაშენებულ რადიოფიცირებულ „მურყუვაშში“ — გამგეობის შენობაში და რადიოთი აძლევს დავალებებს ენგურის სათავეებში მიმოფანტულ კოლმეურნეთა ოჯახებს.

აი როგორია საბჭოთა სინამდვილე სვანეთის მთებში. კალაში მან მოიტანა ელექტროშუქი და რადიო, მან დაამკვიდრა ახალი სიტყვა შრომადღე. კალაში კოლმეურნეს იგი აძლევს 1,5 მანეთს, 2,5 კილოგრამ კარტოფილს, მარცვალს, კარაქს, რძეს, ხორცს...

მთებში მოვიდა სასწაული.

შუბლგაუხსნელი სვანის სახეზე ღიმილი ათამაშდა.

ქვეყნის შექმნის დღიდან გაუცინარმა ხეობამ გაიღიმა.

ჯვარიდან უშგულისაკენ მიდიოდა კორესპონდენტი, ვინმე ლაგუჯი. ათი შეიარაღებული კაცი და ორი მეგზური მეჯოგე მიჰყავდა.

„მივდივართ ცოცაბო ადგილებში. აღმართ-აღმართში თითო მტკაველი გზაა. ყოველ წუთში დაღუპვა მოგველის ცხენს და კაცს. ცოტაოდენი წაბორძიკება საკმარისია, რომ თვალუწვდენელ სიმაღლიდან ძირს ჩაიჩეხო“.

ახალმა საბჭოურმა ცხოვრებამ გაანგარია კლდეები და მთების გულში გაჭრა ფართო გზატკეცილი. ამ გზებზე დიდ ცხოვრებას, რომელსაც რევოლუციაერქვა, მოუძღვოდნენ სვანეთის კომუნისტები ხ. ნავერიანი, გ. ნავერიანი, ა. იოსელიანი, ს. გულბანი და სხვები. მათი სურათები ღრუბლებს ზემოთ, მესტიის მუზეუმში ინახება როგორც ძვირფასი რელიქვია, ისევე როგორც ადიშისა და ლამბილის ოთხთავი, როგორც სვანეთის საკვირველი ოქრომჭედლობა. ეს ვაჟაცებიც ახალი ცხოვრების ოქრომჭედლები იყვნენ.

ხანჯლების წვერზე გადიოდა ახალი ცხოვრების ბილიკი უშგულისაკენ. ამ ბილიკებით მოჰქონდათ ვაჟაცებს ცეცხლი, რომელიც შხელდაზე უნდა აეტანათ. ისინი დაეცნენ გზაში. ახალ თაობას მოაქვს წინ ეს ჩირაღდანი. აი უბრალო მუშები. ტყის მჭრელები შალვა ფირცხელანი, ტარიელ ჭკადუა, სილოვან დადეშქელიანი და მრავალი სხვა. მათს სახელებს იმახსოვრებს მემატიანე. ისინი ქმნიან მთის ეპოპეას. ლეგენდის კაცები იყვნენ სვანი კომუნისტები. შხარადან ცეცხლი ჩამოაქვსო ენგურს. ჯვართან დახვდა ადამიანი ვიწროებში ენგურს, შხარაზე მოტაცებულ ცეცხლს წაართმევს და ისევ შხარაზე აიტანს, რომ მთელი ქვეყანა გათბეს სვანეთის ცეცხლით.

46 წლის წინათ ამ ბილიკზე მოდიოდა უურნალისტი ვინმე ლაგუჯი.

ჩემი გზა ლაგუჯის ნაკვალევს მისდევს. ოცნებობდა ლაგუჯი სვანეთის ტყეების დამუშავებაზე და რკინიგზაზე. დრომ, თითქოს ლაგუჯის ოცნებების ახდომაზე ფიქრობდაო, რკინიგზა გაჭრა ენგურჰესამდე, სვანეთის ტყეების სიმდიდრე დააცურა ენგურით კოლხეთის ბარში. ადამიანმა ხე ქაღალდად აქცია. წიგნებად დაბარუნა მთაში და სვანი ბავშვები ხაიშში და ბეჩოში, მაზერსა და ლატალში, ლენჯერსა და მესტიაში, მულახსა და კალაში სწავლობენ ცხოვრების ანბანს, მთელი სვანეთი წიგნიერი გახდა.თითქოს შუქი დაადგა მწვერვალებს. ლაგუჯი ორმოცდაექვსი წლის წინ გულდაწყვეტილი წერდა: „სკოლა და სხვა ამგვარი კულტურული დაწესებულება აქაური მცხოვრებთათვის უცხო ხილია. აქ ძლიერია ცოდნის წყურვილი, მაგრამ სიღარიბით მიბრწყინილ მცხოვრებლებს ღონე არ შესწევთ სკოლა დაიარსონ“.

წუხელ მესტიის ასერთ კოშკზე თეთნულდის მთვარე რომ მიგორავდა, მე ესაუბრობდი მთვარ მახვშთან სოსო ჭკადუასთან. ფანჯარაში იხედებოდა თეთნულდი. რაიკომის მდივნის „მურყუვამი“ ოთხსართულიანი თანამედროვე სტილის შენობაა. სოსო, მთიმატიკური მანქანის სიზუსტით ასახელებს ციფრებს. რევოლუციამდე სვანეთს ერთადერი ინტელიგენტი ჰყავდა. დღეს სვანეთის მკვიდრნი საქართველოს პარლამენტის წევრები არიან. დღეს სვანეთის მთებში 32 დაწყებითი, 14 შვიდწლიანი და 8 საშუალო სკოლაა 5.000 მოსწავლითა და 425 მასწავლებლით. გამახსენდა — შხარის მწვერვალის ახლოს, უღელტეხილზე ვესაუბრე მულახის საშუალო სკოლის დირექტორს აბო იოსელიანს. მარტო მულახში 250 მოსწავლე და 30 მასწავლებელია. მულახელი და მესტიელი პიონერები ტუშინოელ მოსწავლეებთან მეგობრობენ...

მუზეუმებმა ჩაიბარეს სისხლის აღების ველური წესი და წინაპრის დაუწერელი კანონი-ადათი. სვანეთი სახელმწიფო კონსტიტუციის კანონებით ცხოვრობს!

ყოჩაღი ახალი თაობა იზრდება ახალ სვანეთში. მარტო კომკავშირელ ნორა იოსელიანს, რომელიც ხუთებზე სწავლობს, მულახის კოლმეურნეობაში 50 შრომადღეც აქვს გამომუშავებული.

თეთნულდის ზვიადი მზერა თეთრი დუშილივით ჩაედია ჰაერში. სოსო ჭკადუა განაგრძობს: რევოლუციამდელ სვანეთს არ ჭეშნდა მედიკამენტები. სახალხო მედიცინა ფესით მკურნალობდა ჭრილობებს. დღეს 20 ექიმი და 152 ექიმის თანაშემწე დგას სვანეთის მკვიდრთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ყველა სოფელში შეხვდებით წარწერას „ფფიოაქი“, „საავადმყოფო“, ფოსტა“... მესტიის გზებზე დაჭრიან მსუბუქი „ტაქსები“. მესტიის რაიონში 3 კულტურის სახლია, 12 კლუბი, 21 ბიბლიოთეკა.

ზემო სვანეთში 17 კოლმეურნეობაა... ეს ახალი ყოფის უდიდესი გამარჯვებაა. ეს არის ახალი ადამიანის ფორმირებისა და ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაჩვენებელი. სვანეთის მთებში სოციალური ძვრები მტკივნეულად, წინააღმდეგობათა ავგაის თავლის გაწმენდის ეზით მიდიოდა. ბრძოლა ახალი ადამიანისათვის სვანეთის მთებში დღესაც გრძელდება.

ნარკვევი

არ არის ისეთი მთა და მწვერვალი, რომ სვანეთის კომუნისტებმა და კომკავშირელებმა არ აიღონ.

ამ შემართებას, ამ ფრთებს, აზრთა ამ ჭიდილს, ახალ ადამიანებს ვერ იხილავდა ლაგუჯი ოთხი ჯორით კი არა, დედამიწის ყველა ჯორით რომ მოსდიოდა სვანეთის ყველა სოფელს. ეს ახალმა დრომ მოიტანა.

...მიქროდა „ვოლგა“ სვანეთის გზებზე.

ჩემი გზა ლაგუჯის ნაკვალევზე 46 წლის შემდეგ ჰგავდა მომხიბვლელ რომან-ეპოპეას, რომლის კულმინაციაა პირველ თავშია მოქცეული. ეს კულმინაციაა ენგურჰესი! „სვანეთში კი არა, მთელ საქართველოში იშვიათია ორთქლი, გაზი, ელექტრონი — ეს აუცილებელი პირობანი ერის წინსვლისა და თუ სადმე მოიპოვებიან ისინი, უცხოელების მოწყობილი“, — გულისტკივნეთ წერდა ქართული გაზეთი. დღეს კი უცხოელები მოდიან ენგურის ხეობაში სვანეთის მისადგომებთან, რომ იხილონ მსოფლიოს მეშვიდე საკვირველება ენგურჰესი. სვანეთის ახალი ადამიანებისა სჯერა დროს. მათ ლომის მუხლი და არწივის ფრთები აქვთ.

ისინი აიტანენ ცეცხლს შხარაზე.

მთებს აურაცხელი საიდუმლო აქვთ. ადამიანმა უნდა ეძიოს ამ საიდუმლოთა გასაღები. ერთი ასეთი გასაღები ადამიანმა მოსტაცა მთებს.

სვანეთში მიაგნეს ბარიტს. ხაიშიდან ორიოდე კილომეტრზე ჩასაკვნილი სვანი ვაჟაცი ჯარამხათ ფალიანი სათავეში უდგას ბარიტის მოპოვების. ხაქმეს. ოღონ სათქმელია სვანეთში ბარიტის მოპოვება. იქ, სადაც ქუჩაკი ვერ გაივლიდა, ბეოლოგებმა მიაგნეს ბარიტს. მთის ბილიკზე დაზრდილ ვაჟაცებსაც გაუჭირდათ ბარიტის მოპოვება. უხმეს „მთის ორბის“ ხერგიანის დაზრდილ ვაჟაცებს — „კლდეთა ვეფხვებს“ — მიშა ხერგიანს, ბეჭნუ ხერგიანს, მაკიმე გვარლიანს, ჭიჭიკო ჩართოლანს. უაზო ადგილას გზა გაიყვანეს. მთებს გამოსტაცეს სვანეთის ბარიტი.

...„ლაპარაკობს ხაიში!“ „ლაპარაკობს ხაიში!“ — ასე იწყება სვანეთის მთებში რადიოგადაცემები საზოგადოებრივ საწყისებზე. მათში ბარიტის მოძმოვებელთა წარმატებებზეც ლაპარაკობენ.

მთებში შენდება დაბა-ქალაქი, შენდება საბაგირო გზაც.

სვანეთის სოფელ ლიზში ვარშავა გამახსენდა. ამ ზაფხულს პოლონეთის დედაქალაქის ულამაზეს მაგისტრალზე — იერუსალიმის ხეივანზე ვნახე სვანური კოშკები „ტრიბუნა ლიუდუს“ ფოტოტორტიორის ალბომში. ეს ალბომი ერის ნინსვლის ერთ-ერთ ეტაპზე გადადებული. ალბომ-ეპოპეას, ალბომ-ეპოპეა ეს ალბომ-ეპოპეა ეს ალბომ-ეპოპეა ეს